



შენსებნეიი ანაონნეიონ აბმთნეომბ სენეიოვოომთ
SITUATION OF TRANSGENDER PEOPLE IN GEORGIA



ტრანსგენდერი ადამიანების
მდგომარეობა საქართველოში

ნათია გვიანიშვილი

პუბლიკაცია მომზადებულია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ პროექტის – „ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სქესის კვლავმინიჭების პროცედურებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“, ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერები არიან Kvinna till Kvinna, „ქალთა ფონდი საქართველოში“ და ILGA Europe.

This publication was prepared by Women's Initiatives Supporting Group (WISG) within the frames of the project „Improvement of accessibility of transgender persons to gender reassignment procedures“. This project is financially supported by Kvinna till Kvinna, Women's Fund in Georgia and ILGA Europe.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ მადლობას უხდის ყველა იმ რესპონდენტს რომელმაც მინაწილეობა მიიღო კვლევაში

WISG wishes to express gratitude to all the respondents who participated in the study.

ავტორი: ნათია გვიანიშვილი

Author: Natia Gvianishvili

www.women.ge

გარეკანის დიზაინი / Design: ეკა წერეთელი / Eka Tsereteli

დაკაბადონება / Layout: თორნიკე ლორთქიფანიძე / Tornike Lortkipanidze

რედაქტორი / Editor: მაგდა კალანდაძე / Magda Kalandadze

თარჯიმანი / Translator: სალომე ყანჩაველი / Salome Kanchaveli

დაბეჭდილია / Printed: შპს „სეზანი“ / Sezanne Ltd

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2015

Women's Initiatives Supporting group, 2015

ISBN 978-9941-0-7488-2

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით / No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

შინაარსი

შესავალი	5
დემოგრაფიული მონაცემები	6
ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა	7
ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა	18
ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სპეციფიკური ჯანდაცვის მომსახურება	24
სქესის სამართლებრივი აღიარება	28
ჩართულობა ტრანსგენდერ თემში	33
დასკვნა	37
დანართი: ტერმინების განმარტება	40

შესავალი

საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის პირველი კვლევა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ 2012 წელს ჩაატარა. კვლევამ გამოავლინა, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ცხოვრების ყველა სფეროში განიცდიან დისკრიმინაციას. ისინი ხშირად ხდებიან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი, მუდმივად იმყოფებიან ფსიქოლოგიური ზენოლის ქვეშ, არიან დაუცველები შრომით ურთიერთობებში და მათთვის მნიშვნელოვანი ბევრი საკითხი უგულებელყოფილია სახელმწიფოს მიერ.

2012 წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა: 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და, ასევე, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (სამივე დოკუმენტი შეიცავს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებს). მიუხედავად ამისა, ისეთი საკითხები, როგორებიცაა სქესის სამართლებრივი აღიარების სწრაფ და გამჭვირვალე პროცედურებზე ხელმისაწვდომობა, ტრანზიციის პროცესის ოფიციალურად რეგულირება და შესაბამისი ხარჯების ჯანდაცვის ეროვნულ დაზღვევაში ჩართვა, კვლავ ყურადღების მიღმა დარჩა. ამასთან, საქართველოს ადამიანის უფლებათა ეროვნულ სამოქმედო გეგმაში განერილი ლგბტ ადამიანებისთვის უსაფრთხო თავშესაფარის უზრუნველყოფა და სამართალდამცავების გადამზადება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების საკითხში ჯერ არ განხორციელებულა.

ამ პირობებში საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანები სრულიად დაუცველები რჩებიან, როგორც შრომით ურთიერთობებში, ისე – ჯანდაცვის მომსახურებისა და სხვა სფეროებში დისკრიმინაციისა და ძალადობის წინაშე. საერთაშორისო სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ეს ჯგუფი ასევე მსოფლიოს მასშტაბით განიცდის ანალოგიურ დისკრიმინაციას, თუმცა ამ დისკრიმინაციის ყველაზე შემზარავი შედეგი იმ მკვლევლების რაოდენობაა, რომელთა მსხვერპლნიც ხდებიან ტრანსგენდერი ადამიანები საკუთარი გენდერული იდენტობის გამო. 2014 წელს მსოფლიოს 28 ქვეყანაში

226 ტრანსგენდერი ადამიანი იქნა მოკლული, ხოლო 2008 წლიდან დღემდე მსოფლიოს 62 ქვეყანაში ეს რიცხვები 1,612-ს აღწევს¹.

2014 წლის 11 ნოემბერს საქართველოც შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ტრანსგენდერი ადამიანი შეიძლება, მოკლან მისი გენდერული იდენტობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მიერ დასახელებული ოფიციალური მოტივი ამას საჯაროდ არ ადასტურებს, საბი ბერიანის მკვლელობის გარშემო გაჩენილი დეტალები მიუთითებს, რომ მკვლელობა სიძულვილის მოტივით შეიძლება ყოფილიყო ჩადენილი. მსხვერპლისადმი სიძულვილის ენით გაჟღერებული გამოხმაურება, რომელიც მომხდარს მოყვა, ასევე ცხადყოფს ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობას საზოგადოებაში და იმას, რომ მარგინალიზებულ ჯგუფებზე ძალადობა საქართველოში სოციალურად მიღებულ მოვლენად იქცა.

ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, ვთვლით, რომ ორმაგად მნიშვნელოვანია იმ საჭიროებების გამოვლენა, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ ტრანსგენდერ ადამიანებს გააჩნიათ ზოგადი და ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის, უფლებების დაცვის, სქესის სამართლებრივი აღიარების, უსაფრთხო სოციალიზაციისა და ინფორმაციის მიღების სფეროებში, რასაც მოცემული კვლევა ისახავს მიზნად. ასევე მნიშვნელოვანია, ამავე სფეროებში დისკრიმინაციის კონკრეტული ფაქტების გამოვლენა და საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესების ეფექტური გზების ძიება.

დემოგრაფიული მონაცემები

მოცემულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მცხოვრებმა თოთხმეტმა ტრანსგენდერმა ადამიანმა, აქედან 5 არის ტრანსგენდერი ქალი (მათ შორის, ერთი ინტერსექსი), 5 – ტრანსგენდერი კაცი, 2 – აგენდერი, ხოლო ორმა იდენტობების ჩამონათვალში მონიშნა „სხვა“. რესპონდენტებიდან 10 აღნიშნავს, რომ არის ჰეტეროსექსუალი, 1 – პანსექსუალი 1 – ჰეტეროსექსუალი ასექსუალური ქცევით, ხოლო ორმა რესპონდენტმა სექსუალური ორიენტაციის გრაფაში ჩაწერა „სხვა“.

¹ <http://www.transrespect-transphobia.org/en-US/tvt-project/tmm-results/tdor-2014.htm>

რესპონდენტებიდან 4 არის განქორწინებული, 1 ამჟამად იმყოფება ქორწინებაში, ხოლო 9 არასოდეს ყოფილა დაქორწინებული. ორ ტრანსგენდერ კაცს და ერთ აგენდერ რესპონდენტს ჰყავთ ბიოლოგიური შვილები.

რესპონდენტების უმეტესობა ქირაობს საცხოვრებელს (6), ხუთი ფლობს საკუთარ ბინას, ხოლო 3 ცხოვრობს სხვის ბინაში. ექვსი ცხოვრობს ოჯახთან ერთად, 3 – მარტო, 4 – მეგობართან ერთად, ხოლო 1 – პარტნიორთან ერთად. ყველა რესპონდენტი ამჟამად ცხოვრობს თბილისში.

რესპონდენტებიდან ექვსს აქვს უმაღლესი განათლება, 3-ს – არასრული უმაღლესი, 3-ს – საშუალო, ერთს – მაგისტრის ხარისხი.

რესპონდენტებიდან ხუთი ამბობს, რომ არის თვითდასაქმებული, 4 უთითებს, რომ არის უმუშევარი, 5 – სრულ განაკვეთზე დასაქმებული; რაც შეეხება თვიურ შემოსავალს, სამმა რესპონდენტმა მონიშნა 300-700; ოთხმა – 700-1000; ორმა – 300-100; ერთმა – 500-700, ერთმაც – 100- ნაკლები.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა

რესპონდენტების უმეტესობა (9) ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ერთხელ მაინც გამხდარა ფიზიკური ძალადობის ობიექტი თავისი გენდერული იდენტობის გამო. მაშინ, როცა მონაწილეთაგან სამს ფიზიკური ძალადობა სამი ან მეტი წლის წინ განუცდია (ორს – ქუჩაში, ხოლო ერთს – ოჯახის წევრის მხრიდან ბავშვობაში), ნ-ს ამგვარი ძალადობა გასული ორი წლის განმავლობაში აქვს გადატანილი.

ლიზას² (25 წლის ტრანსგენდერი ქალი) გასული ორი წლის მანძილზე ფიზიკური ძალადობის გამოცდილება ოთხჯერ ჰქონდა. მათ შორის, ორჯერ – 2013 წლის 17 მაისის შემდგომ, როდესაც 17 მაისის საღამოს მას უცნობი კაცები საცხოვრებელ ბინასთან დაესხნენ თავს, მეორედ კი 17 მაისის შემდგომ დღეებში, როდესაც ის თავის ძველ უბანში მივიდა ნათე-

² რესპონდენტების ანონიმურობის დაცვის მიზნით, კვლევაში არ არის გამოყენებული მათი ნამდვილი სახელები.

სავეების მოსანახულებლად. ლიზა იხსენებს, რომ ის უბნის ბიჭებმა დაიჭირეს (ისინი ხუთნი იყვნენ) და წინამოზე ცეცხლი წაუკიდეს:

„ჩემი უბნელები ... ბავშვობიდან რალაცას ვარაუდობდნენ ... ღია ცხოვრებით არ ვცხოვრობ, მაგრამ ყოველთვის რალაც განსხვავებული ვარ ... და ეჭვები ჰქონდათ ... ვბრუნდები სახლში და „მოდით აქ შე პიდარასტო! ეგ რა პიდარასტული ვარცხნილობაა?!“ ანუ შენ უნდა გამოგასწოროთო ... შეძახილები ... დამესივნენ, ერთი შემომეხვია კისერზე, მახრობდა და ცხვირში მღუნა კარგად და სანთებელა აიღო, ჩოლკა ასე გამომიწია და ნუ ჩოლკა გადამინვეს.“

დანარჩენი ორი შემთხვევა მოხდა 2013 წლის გაზაფხულზე ღამით, როდესაც ლიზა თავისი გენდერული იდენტობის შესაბამისი სამოსითა და მაკიაჟით იყო გამოსული ე.წ. „პლემკაზე“³ მეგობრების სანახავად და მას და სხვა ტრანსგენდერ ქალებს სამი უცნობი მამაკაცი დაესხათ თავს; მეორედ, როდესაც 2 წლის წინ, ზაფხულში, მასზე ტაქსის მძღოლმა სცადა სექსუალური ძალადობა. ლიზამ მას წინააღმდეგობა გაუწია და პოლიციას დაურეკა, რის შემდეგაც მძღოლმა ის მანქანიდან გადააგდო. პოლიციას ლიზამ სწორედ ზემოთ მოყვანილი ორი შემთხვევის გამო მიმართა, თუმცა, მისი თქმით, ორივე შემთხვევაში სამართალდამცავთა მოქმედება არაეფექტური იყო, გვიან მოვიდნენ და დამცინავად ექცეოდნენ. ამიტომ, ფიზიკური თავდასხმის დანარჩენ ორ შემთხვევაში, ლიზამ, ერთი მხრივ, არ ჩათვალა, რომ პოლიციის საქმის კურსში ჩაყენება რამე ქმედით შედეგს მოიტანდა (ის მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობისათვის“ ფსიქოლოგიური დახმარების თხოვნით შემოიფარგლა), მეორე მხრივ კი, დედის მოერიდა, რომელმაც პირადად სთხოვა, უბანში ცემის შემდეგ არ მიემართა სამართალდამცავებისთვის:

„არ მინდა ამის გაგება, შენ შეგიძლია, სხვა ბინაში გადახვიდე და სხვანაირად იცხოვრო, როგორც გინდა, ჩვენ კიდევ აქ უნდა დავრჩეთ ... და-ძმა გყავს და პატარა ძმისშვილები ... ასე რომ ამ ფაქტზე არ მიჩვილია ...“

³ სხვადასხვა ადგილი ქალაქში, მაგალითად, პარკი ან სკვერი, რომელსაც გეი/ბისექსუალი კაცები და ტრანსგენდერი ქალები თავშეყრის და სოციალიზაციის ადგილად იყენებენ.

თაკოს (20 წლის ტრანსგენდერი ქალი) 2014 წლის მარტში, თბილისში, წერეთლის გამზირზე უცნობი მამაკაცები დაესხნენ თავს გენდერული იდენტობის გამო. მან პოლიციას მიმართა და აღნიშნავს, რომ მათი დამოკიდებულება მხოლოდ მას შემდეგ გახდა თავაზიანი, რაც ადვოკატი მიიყვანა. თაკო ამოცნობაზე დაიბარეს, მან თავდამსხმელები ამოიცნო, თუმცა, საქმე დაიხურა ერთ-ერთი თავდამსხმელის გარდაცვალების შემდეგ. თაკო ადვოკატის დახმარებით არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42 მუხლმა“ უზრუნველყო და რესპონდენტი ამ მომსახურებას დადებითად აფასებს.

დაჩის (18 წლის ტრანსგენდერი კაცი) 2013 წლის 17 მაისს დაესხა თავს 5 უცნობი კაცი. დაჩი ვარაუდობს, რომ ის თავისი გენდერული თვითგამოხატვის გამო მიათვალეს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქციის მონაწილეებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი აქციაზე არ ყოფილა:

„სასწავლებლიდან გამოვდიოდი და სახლში ვერ წავალ ისე, თუ რუსთაველის მეტრო არ გავიარე. მეტროში ჩავდიოდი თითქმის, როცა ვიღაცამ იქიდან დაიძახა გეი არისო ... გამომეკიდნენ, ფილარმონიასთან წავიქეცი და კარგად მყეუყეს; იყვნენ ექვსნი; უცნობი ბიჭები ... ფეხებს მირტყამდნენ, მქონდა ზურგზე სისხლჩაქცევები, ნაკბენი მქონდა კიდეც ხელზე.“

დაჩის პოლიციისათვის არ მიუმართავს, რადგან თბილისის ცენტრში ხალხმრავლობისა და არეულობის გამო ჩათვალა, რომ თავდამსხმელებს მაინც ვერ იპოვიდნენ. მან მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“, მოგვიანებით კი „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“ ამცნო მომხდარის შესახებ.

სალის (23 წლის ტრანსგენდერი ქალი) 2013 წლის ივნისში რუსთაველში დაესხნენ თავს უცნობი კაცები, ხელი ჰკრეს, წააქციეს (რის შედეგადაც მას ნიკაპი გაუსკდა), შემდეგ კი მიიმალნენ. სალი ვარაუდობს, რომ თავდამსხმელებმა ის იცნეს ერთ-ერთი ტელეგადაცემიდან, რომელშიც მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. სალიმ მიმართა პოლიციას, პოლიციელების დამოკიდებულებას აფასებს, როგორც დადებითს, თუმცა საქმე არ გახსნილა.

ფსიქოლოგიური ძალადობა

ფსიქოლოგიური ძალადობა გამოკითხულ ჯგუფში კიდევ უფრო მასშტაბური აღმოჩნდა, ვიდრე – ფიზიკური ძალადობის გამოცდილება. თითოეულ რესპონდენტს გასული ორი წლის განმავლობაში ამა თუ იმ ფორმით განუცდია ფსიქოლოგიური ზეწოლა როგორც უცხო ადამიანების მხრიდან, ასევე – ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან.

ფსიქოლოგიური (და ხანდახან ფიზიკური) ძალადობის გამოცდილება ბევრი ტრანსგენდერი ადამიანის შემთხვევაში ბავშვობიდან იწყება. ლიზა (25 წლის ტრანსგენდერი ქალი) გვეუბნება:

„ყოველთვის ძნელია, როცა თამაშობ მართლა რთულ როლს, ყველას ეუბნები, რომ ბიჭი ხარ, სუ შარვალი უნდა გეცვას, თოფით უნდა ითამაშო ... რატო, თუ ესე არ არის, თუ არ მომწონს და თუ არ არის ეს ჩემი?! ... მე ასეთად დავიბადე, ასე მივდივარ ცხოვრებაში და რაც თავი მახსოვს კომფორტულად ვიყავი, როგორც ვარ და არაკომფორტულად, როცა მაიძულებდნენ რაღაცას ... რო მეუბნებოდნენ მიდი ბიჭებს ფეხბურთი ეთამაშე, მე კიდევ გავრბოდი და გოგონებს რეზინობანას ვეთამაშებოდი. მშვენივრად მახსოვს.“

არჩის (34 წლის) არაერთხელ შექმნია პრობლემა 2013 წლის 17 მაისის შემდგომ დღეებში. ის გვიყვება, ერთ საღამოს როგორ ავიდა ავტობუსში, სადაც ერთ-ერთმა მგზავრმა მისი ანდროგინული გარეგნობის გამო ხმამაღლა დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ლგბტ ადამიანები საქართველოში ჩამოდიან (როგორც ჩანს, მას არჩი უცხოელი ეგონა), „აბინძურებენ ჰაერს“ და შემდგომ მოითხოვა, რომ არჩის ავტობუსი დაეტოვებინა. იმავე დღეს გაჩერებაზე არჩის აგრესიით უყურებდა ახალგაზრდა წყვილი. ეს აგრესია მათ ხმამაღლაც გამოთქვეს და გაჩერებაზე მდგომი კიდევ რამდენიმე ადამიანი აიყოლიეს. რესპონდენტმა თავს ავტობუსში ასვლით უშველა.

მარის (27 წლის) პრობლემები შეექმნა იმ ეკლესიაში, რომლის მრევლიც თავად არის. მრევლის დანარჩენ წევრებს, ისევე, როგორც სასულიერო

პირების ნაწილს, წინააღმდეგობის გრძნობა გაუჩნდათ მის აქტიურობასთან დაკავშირებით ეკლესიის შიგნით. როგორც რესპონდენტი ამბობს, ეს მისთვის პირადად არ უთქვამთ, თუმცა უარყოფითი დამოკიდებულება შესამჩნევი იყო და ამას მისი ის მეგობრებიც ადასტურებდნენ, ვისთვისაც ეს ყველაფერი პირველწყაროდან იყო ცნობილი.

შაკო (19 წლის აგენდერი), ყვება, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი მაშინ გახდა, როდესაც სკოლაში „ქამინგ აუთის“ გაკეთებამ მოუწია, ოღონდ მაშინ ეს მის სექსუალურ ორიენტაციას ეხებოდა და არა – გენდერულ იდენტობას. შაკოს თქმით, თემა მასწავლებელმა ჩამოაგდო, როდესაც მის უბანში მცხოვრებ ტრანსგენდერ ადამიანზე დაიწყო მოყოლადა შაკომ მისი თხრობის ტონი და ფორმა გააპროტესტა:

„ეს მოხდა 2012 წლის 17 მაისის შემდეგ ... მკითხეს, შენ მართლა ასეთი ხარო და მეთქი კი, კი ასეთი ვარ და გაკვეთილები რომ დასრულდა, უკვე ბოლო გაკვეთილზე დაიწყეს, გადმომისხდნენ მთელი კლასელები და ერთი ბჭობა ჰქონდათ ... ანუ, მეუბნებოდნენ, რომ ეს ავადმყოფობაა, ეს ჩვენი მენტალობის შერცხვენა, ქართული ტრადიციების და ასე შემდეგ ... როგორც იციან ხოლმე ... მასწავლებელი არ ჩარეულა. როგორც წესი, ჩვენი მასწავლებლები მაგ საკითხში არ ერევიან ხოლმე ...“

„ქამინგ აუთის“ შემდეგ თანაკლასელების დამოკიდებულება შაკოს მიმართ გაუარესდა. მისი თქმით, ისინი მუდამ ცდილობდნენ, ეგრძნობინებინათ, რომ მას ავადმყოფად თვლიდნენ.

ნიას (29 წლის ტრანსგენდერი ქალი), რომელსაც სამსახურის შესანარჩუნებლად და ოჯახში პრობლემების თავიდან ასაცილებლად უწევს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში სასურველი გენდერული თვითგამოხატვა დათმოს და თავი „ჩვეულებრივ ბიჭს“ დაამსგავსოს, ხშირად ექმნება დისკომფორტი ფემინური ხმის გამო, როდესაც ბანკში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში რეკავს ინფორმაციის მისაღებად. ოპერატორები მუდამ ეჭვდებიან მის ვინაობაში და ყოფილა შემთხვევები, როდესაც მას ტელეფონის მეშვეობით სასურველი ინფორმაცია ვერ მიუღია.

სალი (23 წლის ტრანსგენდერი ქალი) აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიურ ზენოლას ყოველდღიურად განიცდის გამვლელების მხრიდან, მალაზიების რიგში და სხვა დაწესებულებებში, ძირითადად – სხვა მომხმარებლების მხრიდან. ამის ერთ-ერთ მიზეზად ის საზოგადოებაში თავის ხილვადობას ასახელებს და იმას, რომ გამბედაობა ჰყოფნის, დღისითაც კი ისე გამოჩნდეს ქუჩაში, როგორც მისთვის არის ყველაზე კომფორტული. წელს მას ერთ-ერთ სილამაზის სალონში მომსახურებაზე უარი უთხრეს:

„ერთი პრობლემა შემიქმნა სილამაზის სალონში ... სადაც ვიკეთებდი პედიკურს ... არ ვიცი რა ეგონა ამ ქალს [მომხმარებელს] მე შიდას ვიყავი დაავადებული თუ რა, მარა სკანდალი მოუწევია ჩემი წასვლის შემდეგ, რომ ამას უკეთებთ პედიკურს და მანიკურს და მერე მე როგორღა უნდა დავჯდო?!... სალონი გადაიბირა, ასე ვთქვათ, და მე უარი მითხრეს პედიკურ-მანიკურის გაკეთებაზე. ანუ, მანიკურმა თავს არიდებდა ჩემს ჩანერას და ეჭვი გამიჩნდა, მერე უკვე დაველაპარაკე მენეჯერებს და იმათ ამიხსნეს, რომ რცხვენია და მაგას ვერ გეტყვისო, პრობლემები შეექმნა შენს გამო და ნუ ..“

ლინა (25 წლის ტრანსგენდერი ქალი) იხსენებს წყენას ყოფილ კლასელებთან მიმართებაში, როდესაც ისინი სკოლის დამთავრებიდან 5 წლისთავის აღნიშვნას აპირებდნენ და საქმე ლინას დაპატიჟება-არდაპატიჟებაზე მიდგა. კლასის ნაწილმა განაცხადა, რომ მისი მიწვევის შემთხვევაში ისინი, უბრალოდ, არ მივიდოდნენ ზეიმზე. მიუხედავად იმისა, რომ თანაკლასელების ნაწილმა ლინას მხარი დაუჭირა, განსაკუთრებით დამთრგუნველი აღმონდა ერთ-ერთი თანაკლასელი გოგოს საქციელი, რომელიც პერიოდულად ლინას სოციალურ ქსელში სწერს და რელიგიური არგუმენტების მეშვეობით ხატოვნად აღუწერს იმ „ტანჯვას“ და „სასჯელს“, რომლამდეც, მისი აზრით, ლინას საკუთარი გენდერული იდენტობა და ცხოვრების წესი მიიყვანს.

ტრანსგენდერი ადამიანებისათვის ფსიქოლოგიური ძალადობის წყაროდ შესაძლებელია, იქცეს სამუშაო ადგილიც, სადაც თანამშრომლები, შეიძლება, ირიბად ან პირდაპირ გამოხატავდნენ საკუთარ ტრანსფობიურ

დამოკიდებულებებს. როგორც მარი (27 წლის) გვიყვება, ის რამდენიმე წლის წინ ბარმენად მუშაობდა ერთ-ერთ კაზინოში, სადაც რამდენიმე თანამშრომელს ჰყავდა ათვალწუნებული გარეგნობისა და მანერების გამო. რესპონდენტი ამბობს, რომ ასეთ პირობებში მუშაობა უჭირდა, თუმცა, საბედნიეროდ, მას უფროსი უჭერდა მხარს, რომელმაც კრებაზე განაცხადა, რომ „არ აინტერესებდა, ვინ ვინ იყო“, მთავარია ყველას თავისი საქმე ეკეთებინა.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები ზოგადად ასახავს იმის ტენდენციას, თუ როგორ ძალადობს საზოგადოება ვერბალურად და დისკრიმინაციის გზით ტრანსგენდერ ადამიანებზე. თუმცა, ამ ძალადობამ, შეიძლება, კიდევ უფრო დამორგუნავი ფორმა მიიღოს. მაგალითად, ეკო (36 წლის აგენდერი) გვიყვება, რომ მისი პარტნიორის მშობლებმა მათი ურთიერთობის შესახებ შეიტყვეს, რის შემდეგაც პარტნიორის მამამ ეკოს დაურეკა და მოკვლით დაემუქრა: „სადაც გნახავ, იქვე დაგტოვებ.“ რესპონდენტის თქმით, მუქარა ერთჯერადი იყო და მას პოლიციისათვის არ მიუმართავს, რადგან არ უდნოდა მდგომარეობის გამწვავება და არ თვლის, რომ პოლიციას ამ შემთხვევაში რამის შეცვლა შეუძლია.

დამოკიდებულება ოჯახში

კვლევაში მონაწილე 13-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ოჯახში ერთმა წევრმა მაინც (ძირითადად ეს არის დედა და/ან და და მხოლოდ ერთ შემთხვევაში – მამა) იცის მათი გენდერული იდენტობის შესახებ. მონაწილეების უმეტესობამ „ქამინგ აუთი“ საკუთარი ნებით გააკეთა, მხოლოდ ორ შემთხვევაში გაიგეს ოჯახის წევრებმა მესამე პირისგან.

რესპონდენტების უმეტესობა ამბობს, რომ ოჯახის წევრებს არ აქვთ აგრესიული დამოკიდებულება მათი გენდერული იდენტობისადმი, თუმცა, ამას არც „ნორმალურად“ აღიქვამენ. მაგალითად, გიორგი (28 წლის ტრანსგენდერი კაცი) გვიყვება დედასთან „ქამინგ აუთის“ საწყის ეტაპზე:

„ანუ იცოდა მარტო, რომ მომწონდა გოგოები ... მყავდა ისეთი მეგობრები, რომლებსაც ასევე მოწონდათ გოგოები ... რაღაცა პონტში იმათ დაბრალდა, რომ ასეთი ვიყავი, გადაგიბირესო...“

დედასთან რთული ურთიერთობა ჰქონდა სალისაც (23 წლის ტრანსგენდერი ქალი), თუმცა, მისი თქმით, გასული წლის განმავლობაში მათ კრიზისი გადალახეს და ახლა დედა მისი საუკეთესო მეგობარია, რომელსაც სალი ბოლომდე ენდობა.

საინტერესოა იმ სამი რესპონდენტის შემთხვევა, რომლებსაც ბიოლოგიური შვილი ჰყავთ. მაქსიმე (35 წლის ტრანსგენდერი კაცი) ამბობს, რომ ბავშვები მის ახალ სახელს, ისევე, როგორც ტრანზიციას, ადვილად შეეგუვნენ, რადგან „დედად“ არც მანამდე მოიხსენიებდნენ. იგივე მდგომარეობა აქვს კოტეს (41 წლის ტრანსგენდერი კაცი), რომელსაც ზრდასრული შვილი ჰყავს. რაც შეეხება ეკოს (36 წლის აგენდერი), მისი შვილი 11 წლისაა და, მისი თქმით, „ქამინგ აუთის“ პროცესი შვილთან იმით დაიწყო, რომ ქალი პარტნიორი ჰყავს. ეკოს თქმით, ბავშვმა ეს ფაქტი ძალიან ბუნებრივად მიიღო და გულწრფელად იკითხა, თუ რატომ არ შეეძლოთ მათ ექორწინათ და სულ ერთად ეცხოვრათ. ეკოს აზრით, ასეთი რეაქცია სრულიად ბუნებრივია, რადგან მისი და პარტნიორის ურთიერთობა ბავშვისთვის სითბოს, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის მაგალითია.

აღსანიშნავია, რომ ეკოს თავისი სექსუალობის გამო სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა ყოფილ მეუღლესთან, რომელიც მას შვილის წართმევით ემუქრებოდა. დღესდღეობით კონფლიქტი მოგვარებულია და ყოფილი მეუღლე ეკოსთვის ერთ-ერთ სანდო საყრდენს წარმოადგენს ბავშვის აღზრდის პროცესში.

ლიზას (25 წლის ტრანსგენდერი ქალი) შემთხვევაში მაშინ, როცა დებმა და დეიდაშვილმა (რომელიც, ლიზას თქმით, ერთადერთი ოჯახის წევრია, რომელმაც ის ბოლომდე მიიღო ისეთად, როგორც არის) მისი გენდერული იდენტობის საკითხი, თითქოს, უმტკივნეულოდ მიიღეს, დედის რეაქცია საგრძნობლად განსხვავდებოდა:

„დედამ იცის იმიტომ, რომ „ქართველი სლევების“ გვერდზე რომ აღმოვჩნდი ფეისბუქში, ეგრევე მიუტანეს ენას [იცინის], Вот, ваш сын пидраст... საბოლოოდ მომიწია თქმა და ნუ უფრო ადვილად გადაიტანა, აქამდეც ვზვდებოდიო და ... მაგრამ დედამ მაინც არ მიიღო ეს ... ამბობს, ეს ნორმალური არ არის, ეს ანომალიაა ეს პათოლოგიაა, სიგიჟეა... ეგრე ფიქრობს დედაჩემი, მაგრამ მიმიღო, როგორც შვილი ... შენზე უარს არ ვიტყვიო.“

მაქსიმე (35 წლის ტრანსგენდერი კაცი) საკუთარ თავზე დიდი ხანია უკვე მამრობით სქესში საუბრობს (ის რუსულენოვანი ოჯახიდანაა) და გვიყვება, რომ მისი ძმა, ისევე, როგორც რამდენიმე მეგობარი და ყოფილი პარტნიორი, ჯიუტად ამბობენ უარს, პატივი სცენ მის მიერ არჩეულ სახელსა და პირის ნაცვალსახელს. ამის შედეგად მაქსიმეს უწევს საკუთარი საურთიერთობო წრის ნელ-ნელა შეზღუდვა.

კოტეს (41 წლის ტრანსგენდერი კაცი) შემთხვევაში ფსიქოლოგიური ზენოლის მთავარი წყარო მისი პარტნიორია, რომელთან ერთადაც მან თითქმის 20 წელი გაატარა და რომელიც მას ჯერ კიდევ „ავადმყოფს“ ეძახის. ამასთანავე პარტნიორი კატეგორიულად ეწინააღმდეგება კოტეს მხრიდან ნებისმიერი ტიპის გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის ჩატარებას, რის გამოც, კოტეს თქმით, მას ტრანზიციის თანამდევ სამედიცინო პროცედურებზე (ჰორმონული თერაპიის გარდა) ხელი აქვს ჩაქნეული.

დაჩის (18 წლის ტრანსგენდერი კაცი) შემთხვევაში ფსიქოლოგიური ზენოლა ოჯახის წევრების (დედა, ბიძა და ბიძაშვილი) მხრიდან ხორციელდება. მას მუდამ აიძულებენ, ჩაიცვას „ქალის“ ტანსაცმელი და მუდმივად უთითებენ მის „არაქალურ“ მანერებზე და კიცხავენ ამის გამო. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მას სახლიდან გაგდებით დამუქრებიან იმ შემთხვევაში, თუკი უარს იტყოდა მისთვის შეთავაზებული ტანსაცმლის ჩაცმაზე.

ლინა (25 წლის ტრანსგენდერი ქალი) ასევე ბიძაშვილის მხრიდან აღმოჩნდა გარიყული მას შემდეგ, რაც ტრანზიცია დაიწყო და კაცის სამოსით აღარსად ჩნდება. ბიძაშვილი მის მიმართ ზიზლს გამოხატავს და უარს ამბობს ურთიერთობაზე.

თაკო (20 წლის ტრანსგენდერი ქალი) ყვება, რომ მშობლების მხრიდან განიცდიდა ფიზიკურ ძალადობასა და ფსიქოლოგიურ ზენოლას თავისი გენდერული იდენტობის გამო. თექვსმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული, მშობლები მას სცემდნენ და ცემის ფაქტზე მან პოლიციასაც მიმართა, თუმცა, როგორც თავად ამბობს – უშედეგოდ. თაკოს თქმით, მას შემდეგ, რაც მან ოჯახში შემომტანის როლი იკისრა, ეს დამოკიდებულება დადებითისკენ შეიცვალა.

ოჯახის წევრების მხრიდან განცდილ ფიზიკურ ძალადობას ახსენებს კოტე (41 წლის ტრანსგენდერი კაცი), რომლის ცემის გზით გამოსწორებასაც მამა ცდილობდა, ასევე მარი (27 წლის), რომელსაც ბავშვობაში ფემინურობის გამო ძმა ჩაგრაჟდა და მათთან ერთად სერგიც (26 წლის ტრანსგენდერი კაცი), რომელზეც დედამ უკვე ზრდასრულ ასაკში სცადა ფიზიკური ძალადობა:

„დედაჩემმა გამოიძახა პოლიცია, ოღონდ, ჩხუბი მაგან დაიწყო და პირიქით მე გამომიძახა და ძალადობის დაბრალება სცადა, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ დავაყენე პოლიციელები, რომ მე ვიყავი დაზარალებული, უბრალოდ განცხადება შეცვალეს და ერთმანეთზე ხელშეუხებლობის ხელწერილი ჩამოგვართვეს... ბებიაჩემის მხრიდან იყო დაცინვა, ინფორმაციის გავრცელება, ცრუ ინფორმაციის გავრცელება ... რაზედაც აგრეთვე პოლიციაში განვაცხადე შარშან, მაგრამ პასუხი სამმართველოდან არ მომსვლია, რომ გაფრთხილებული იქნა ... მაგრამ შემეშვა ...“

სერგის თქმით, კონფლიქტი დიდი ხნის წინ დაიწყო მისი გენდერული იდენტობის გამო და გამძაფრდა დედის მხრიდან ალკოჰოლზე დამოკიდებულების მიზეზით.

ლინას (25 წლის ტრანსგენდერი ქალი) და სალის (23 წლის ტრანსგენდერი ქალი) შემთხვევები ჰგავს ერთმანეთს, ორივეს მხარს უჭერს დედა (მიუხედავად იმისა, რომ მათი გენდერული იდენტობისადმი ბოლომდე ღია დამოკიდებულება არ აქვთ). ორივეს ჰყავს პაპა, რომელიც ცდილობს, მათ ცხოვრების სტილში კორექტივები შეიტანოს და, მიუხედავად

თავისი დამოკიდებულებისა ტრანსგენდერი ადამიანებისადმი, მაინც არ აქცევს ზურგს. ამას ლინას მაგალითიც გვიჩვენებს:

„ერთმა წამოაძახა კიდეც ... ვილაცას ერხუბა და შენს მეტრაკე შვილიშვილს მიხედო მიაძახეს ... ისე ეტკინა გული, ისე, მაგრამ მაინც არ დამკარგა ...“

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების უმეტესობა გამოთქვამს სურვილს, მომავალში იქორწინოს პარტნიორთან და იყოლიოს შვილი. უმეტესობა შვილად აყვანას ხელოვნურ განაყოფიერებას ან სუროგაციის მომსახურებას ამჯობინებს. ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ, რადგან ვერ ეყოლება ბიოლოგიური შვილი, სიხარულით იშვილებდა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს, რადგან იცის, როგორია, იყო მიტოვებული შენი განსხვავებულობის გამო.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ საკმაოდ გავრცელებული ფენომენია და მომდინარეობს როგორც უცხო ადამიანების მხრიდან (რაც ჩვენს შერჩევაში ყველაზე ხშირია ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში), ისე – ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან (რაც უფრო მწვავედ ახასიათებს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოცემულ შერჩევაში). მეგობრებისა და ოჯახის წევრების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვებას ტრანსგენდერი ადამიანების დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი ჩვენთვის უცნობია ფაქტები, როდესაც ტრანსგენდერი შვილის ან/და ოჯახის წევრის შემთხვევაში მშობლებს ან ოჯახის დანარჩენ წევრებს (იშვიათი გამონაკლისების გარდა) მისი გენდერული იდენტობა „არანორმალურ“ მოვლენად არ აღექვათ. ჩვენს საკვლევ ჯგუფში აღმოჩნდა, რომ მსგავსი საკითხები უფრო მარტივად გადააქვთ და ესმით ბავშვებს და მოზარდებს. შერჩევაში მყოფი შვილიანი სამი ტრანსგენდერი ადამიანის შემთხვევაში, ბავშვებს არავითარი აგრესია ან უარყოფითი დამოკიდებულება არ გასჩენიათ მშობლის ტრანსზიციასთან დაკავშირებით. ამავე დროს, ზეწოლა საზოგადოების მხრიდან მუდმივია და განსაკუთრებით მწვავე ფორმებს იძენს, თუკი ტრანსგენდერი ინდივიდი ვერ ახერხებს (ან ამის სურვილი არ გააჩნია) ჩვენს საზოგადოებაში მიღებული ორი (ქალის და კაცის) გენდერული როლიდან რომელიმე „სრულყოფილად“ აითვისოს. ხშირ შემთხ-

ვევაში ძალადობისა და დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ტრანსგენდერ ადამიანებს უწევთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოჩინდნენ იმ გარეგნობითა და სოციალური როლით, რომელიც არ შეესაბამება მათ გენდერულ თვითაქმას და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მისცენ თავს იმის უფლება, რომ, თუნდაც, სასურველი სამოსი ატარონ. ჩვენი შერჩევის შემთხვევაში ეს საკითხი განსაკუთრებით მძაფრად ეხებათ ტრანსგენდერ ქალებს, რომლებიც ტრანსგენდერ კაცებთან შედარებით უფრო ხილვადები არიან საზოგადოებისთვის.

ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების უმეტესობა (12) არ იტარებს რეგულარულ პროფილაქტიკურ სამედიცინო გამოკვლევებს ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად. ამის მიზეზად სახელდება: ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა ან ამგვარი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების ნაკლებობა, ფინანსური მდგომარეობა, დაზარება და უხერხულობის გრძნობა ექიმებთან, რაც რამდენიმე რესპონდენტმა საკუთარ გენდერულ თვითგამოხატვასა და ბიოლოგიურ სქესს შორის განსხვავებას დაუკავშირა.

თოთხმეტი რესპონდენტიდან სამედიცინო დაზღვევა აქვს მხოლოდ 5-ს, აქდან 3-ს საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევა (მათ შორის, ერთი – სტუდენტური), ხოლო 2-ს – კერძო. იმ რესპონდენტებიდან, ვისაც სამედიცინო დაზღვევა არ აქვს, მიზეზებად სახელდება „ინტერესისა და საჭიროების ნაკლებობა“, ფინანსური სახსრების უკმარისობა და დაზღვევისათვის საბუთების წარდგენის დროს აპლიკანტის გარეგნობასა და საბუთებს შორის განსხვავებების ახსნის სტრესი. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებული 9 რესპონდენტი არ გასცნობია ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეეძლოთ, ჩართულიყვნენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში.

დისკრიმინაცია სამედიცინო მუშაკების მხრიდან

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების უმეტესობას არ განუცდია დისკრიმინაცია და უარყოფითი დამოკიდებულება ექიმების მხრიდან, თუმცა, ეს იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ რესპონდენტების უმეტესობა თავს არიდებს ექიმებთან მისვლას და თვითმკურნალობას ეწევა. ჩვენი კვლევის ის რესპონდენტები, რომლებიც ისედაც ვერ ახერხებენ საკუთარი გარეგნობის სურვილისამებრ შეცვლას, ექიმთან მისვლის შემთხვევაში, უბრალოდ, არ ამჟღავნებენ საკუთარ გენდერულ იდენტობას.

დისკრიმინაციის ფაქტი გაიხსენა ლინამ (25 წლის ტრანსგენდერი ქალი), რომელსაც საკუთარი გენდერული იდენტობის გამო უსიამოვნება შეემთხვა სტომოგოლოგთან:

„2 წლის წინ დავდიოდი კბილის ექიმთან ... და მერე ამ ქალმა გაიგო ჩემზე რაღაც ... ამან [ვინც მიიყვანა იქ] უთხრა, თუ ... პრინციპში „ჩაკრასკულიც“ დავდიოდი ხოლმე იმიტომ, რომ თავისუფლად ვგრძნობდი მასთან თავს ... მარა ამ ქალმა რომ გაიგო ... ორი ვიზიტი მქონდა და მერე კიდევ უნდა მივსულიყავი – რამდენიმე კბილს ვიკეთებდი ... და იმ ჩემს მეგობარს სთხოვა, რომ ეს აღარ მოვიდესო ... თვითონ სხვა მიზეზი თქვა, მარა ამ ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ შენზე გაიგო და იმიტომო ...“

ეკოს (36 წლის აგენდერი) თქმით, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ის ექიმთან მიდის, საკუთარ გენდერულ იდენტობაზე საუბარს ერიდება, თუმცა, მას მაინც აშტერდებიან და შენიშვნებს აძლევენ ჩაცმულობის გამო. ასეთი შენიშვნები მისთვის ექიმსაც მიუცია.

ადამიანთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც ისეთი მუდმივი ზეწოლის ქვეშაა, როგორც საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანები არიან, ექიმთან მისვლის მთავარ ბარიერად შეიძლება, ერთი უარყოფითი გამოცდილებაც იქცეს. შაკო (19 წლის აგენდერი) გვიყვება:

„ჩემმა ნათესავმა ერთხელ ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე ისეთი რაღაცები მოთხრა, ეს ავადმყოფობააო და ისე სასწაულად მელაპარაკა, რომ ... ცრემლებამდე მიმიყვანა და ... თვითონაც ექიმია და არ მგონია, რომ ექიმებს რაღაც განსხვავებული აზრი ჰქონდეთ ... თუნდაც იმიტომ, რომ ტრადიციულები არიან და რელიგიურები...“

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჯგუფში ამგვარი გამოცდილებების გაზიარება შეიძლება, ექიმებისადმი უნდობლობის ერთ-ერთ საფუძვლადაც იქცეს.

ექიმების დამოკიდებულება ტრანსგენდერი ადამიანებისადმი

რესპონდენტების უმეტესობა (10) აცხადებს, რომ, მათი აზრით, საქართველოში ექიმებს ტრანსგენდერი ადამიანებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. კვლევის მონაწილეებიდან მხოლოდ 4 თვლის, რომ ექიმებს ნორმალური დამოკიდებულება აქვთ ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ექიმი „ჭკვიანი“ და „საქმეში ჩახედულია“.

ექიმების უარყოფითი დამოკიდებულება სახელდება ერთ-ერთ ბარიერად იმისათვის, რომ ტრანსგენდერმა ადამიანებმა ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურება მიიღონ. ამ კუთხით ხელისშემშლელ ფაქტორებად დასახლდა ასევე:

- საკუთარი იდენტობის გამჟღავნების შეუძლებლობა;
- სამედიცინო მუშაკების მოუმზადებლობა ლგბტ საკითხებთან დაკავშირებით;
- სხვა ადამიანების დამოკიდებულება კლინიკაში (სანიტარი, სხვა პაციენტი, რეგისტრატურის თანამშრომლები)
- ფინანსური პრობლემები;

- ტრანსგენდერი ადამიანების ნაკლები ინფორმირებულობა ჯანდაცვის მეგობრული სერვისების შესახებ;
- მეგობრული სერვისების გეოგრაფიული მიუწვდომლობა ტრანსგენდერი ადამიანებისათვის.

სემსუაღური და რეპორდუქციული ჰანმრთელობის მომსახურება

როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, რესპონდენტების უმეტესობა არ იტარებს სისტემატურ გინეკოლოგიურ, უროლოგიურ და პროქტოლოგიურ გამოკვლევებს, თუმცა, გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას აქცევს აივ/შიდსისა და სექსუალური გზით გადამდები ინფექციების ტესტირებას.

გინეკოლოგებთან და პროქტოლოგებთან მისვლის ხელისშემშლელ ფაქტორად სახელდება მეგობრული სპეციალისტების შესახებ ინფორმაციის არქონა, უხერხულობის შეგრძნება, დაზარება, დროის უქონლობა და ფინანსური რესურსების სიმცირე. ამასთან, ასეთი დამოკიდებულება შეიძლება, მძაფრდებოდეს წარსულში უარყოფითი გამოცდილებით, როგორც ჰქონდა გიორგის (28 წლის ტრანსგენდერი კაცი):

„სადაც ასე 6–7 წლის წინ ... რაღაც კლინიკაში, გინეკოლოგთან ... იმ ექიმმა მითხრა ციკლი იმიტომ გაქვს არეული, რომ ესე გაცვია და ესე აზროვნებ, ესე იქცევი... მოქმედებს ტვინზე, მერე ორგანიზმი ითხოვს სხვანაირად რაღაცეებს ... მკითხა კიდევაც, გაცვია ხოლმე როგორც გოგოსო? და არა მეთქი და ... აი, უნდა მოიქცე ისე, როგორც გოგო, ჩაიცვა ისე, როგორც გოგო და მერე ტვინიც მიეჩვევა და ორგანიზმიც ისე აეწყობა, როგორც ქალი. მაგალითებიც მომიყვანა, რომ მე მყავდა ისეთი პაციენტი და, როცა სხვანაირად მოიქცა, ახლა მშვენივრად დადის ქუსლებზეო.“

უარყოფითი გამოცდილება ასევე ჰქონდა შაკოს (19 წლის აგენდერი), რომლის თქმითაც გინეკოლოგთან მამიდამ წაიყვანა მას შემდეგ, რაც მას მენსტრუალური ციკლი აერია:

„მიმიყვანა ამ გინეკოლოგთან და 16 წლის ასაკში, მომინია ნაცხის აღება და ... ის დღე იყო ჩემთვის ტანჯვა ... ექიმთან, თანაც იმ სკამზე დამსვენეს და ჩემთვის იყო ძაან მიუღებელი და ვკიოდი-ვწიოდი, მაგრამ მაინც ამიღეს [ნაცხი] ... მე როგორც დავასკვენი, მამიდაჩემმა ეს იმიტომ გააკეთებინა, რომ დაახლოებით გაეგო ჩემი ქალიშვილობა. მერე უთხრა [ექიმმა], ხო ქალიშვილიაო.“

ამ გამოცდილების შემდეგ შაკო ამბობს, რომ არც ნათესავებს და არც ექიმებს აღარ ენდობა მსგავს საკითხებში.

სექსოლოგის მომსახურებისთვის მიუმართავს 9 რესპონდენტს, აქედან 7-მა ეს სერვისი უფასოდ მიიღო „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფში“ და კმაყოფილია, ხოლო ერთ-ერთმა – სექსოლოგიურ კლინიკაში.

რესპონდენტებიდან 9-ს აქვს გაკეთებული ანალიზი აივ/შიდსსა და სხვა სგგი-ზე გასული წლის განმავლობაში. მათ შორის, ვისაც ეს ანალიზი არ გაუკეთებია წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, მიზეზად ასახელებს ერთი პარტნიორის ყოლას და მისადმი ნდობას, თავდაცვის საშუალების რეგულარულ გამოყენებასა და ზოგ შემთხვევაში სექსუალური ცხოვრების არქონას ამ ეტაპზე.

აივ/შიდსსა და სგგი-ზე ტესტირებას მონაწილეები იკეთებენ „თანადგომაში“ ან/და „შიდსის ცენტრში“. ზემოხსენებულ ორ ორგანიზაციაში მათ მიმართ მოპყრობას რესპონდენტები აფასებენ, როგორც მეგობრულსა და პროფესიონალურს.

ფსიქიკური ჰანმრთელობის სერვისები

კვლევის მონაწილეებიდან მხოლოდ ორს არ მიუმართავს ფსიქოლოგისთვის გასული ორი წლის განმავლობაში. რესპონდენტები ძირითადად სარგებლობენ ლგბტ ორგანიზაციების მიერ მიწოდებული უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციებით და, რამდენიმე შემთხვევის გარდა, სრულ კმაყოფილებას გამოხატავენ მომსახურებასთან დაკავშირებით.

ჩვენი ცალკეული რესპონდენტებისა და ასევე მთელი ჯგუფის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაზომად მოცემულ კვლევაში გამოვიყენეთ „დეპრესიის შკალა“⁴, რომელიც ამერიკის ეპიდემიოლოგიური კვლევების ცენტრის მიერ იქნა შემუშავებული 1977 წელს (შემდეგ კი 2004-ში გადაიხედა და განახლდა). დეპრესიული განწყობების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი ჯგუფში არის 25, რაც მისაღებზე (16) უფრო მაღალია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 45 და 39 აჩვენა ორმა რესპონდენტმა, რომლებსაც დეპრესიის საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ და ამჟამადაც მკურნალობის პროცესში არიან.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დეპრესიის შკალაზე აჩვენა ორმა ტრანსგენდერმა კაცმა (მაქსიმე და სერგი), რომლებიც სამ წელიწადზე ნაკლებია, რაც ტრანზიციის პროცესში იმყოფებიან. ამავე დროს, კოტემ, ტრანსგენდერმა კაცმა, რომელსაც ტრანზიცია 7 წელია, დაწყებული აქვს, დეპრესიის ასევე მისაღებზე მაღალი მაჩვენებელი, 23, აჩვენა.⁵ სხვა მხრივ თითოეულ რესპონდენტს, რომელსაც დეპრესიის შკალაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბოლო ორი წლის განმავლობაში განუცდია ან ამჟამად განიცდის ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება, იქცეს დეპრესიული განწყობის ხელშემწყობად.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მონაწილეები სხვადასხვა მიზეზის გამო არ უთმობენ სათანადო ყურადღებას საკუთარი ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას და უფრო მეტად კონცენტრირდებიან სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და აივ/შიდსის ტესტირებაზე. მათი უმეტესობა თვლის, რომ ქართველ ექიმებს ტრანსგენდერი ადამიანებისადმი, შესაძლოა, უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდეთ, რაც ფინანსურ პრობლემებთან, ლგბტ საკითხებზე ექიმების დაბალ ცნობიერებასა და ტრანსგენდერების მხრიდან საკუთარი იდენტობის გაცხადების შიშთან ერთად დაბრკოლებას უქმნის ტრანსგენდერ ადამიანებს, მიიღონ ჯანდაცვის ხარისხიანი მომსახურება.

4 Center for Epidemiologic Studies Depression Scale (CES-D), NIMH <http://www.chcr.brown.edu/pcoc/cesdscale.pdf>

5 საინტერესო იქნება მომავალში ტრანზიციის ხანგრძლივობისა და მისი თანმდევი ფაქტორების კვლევა დეპრესიული განწყობების ზრდასა და შემცირებასთან მიმართებაში.

კვლევაში გამოყენებულმა დებრესიის შკალამ ასევე გამოავლინა, რომ საკვლევ ჯგუფს დებრესიის მისაღებზე (16) უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს (25), რაც, ზოგადად, შეიძლება, უკავშირდებოდეს ზემოთ აღწერილ ძალადობისა და დისკრიმინაციის გამოცდილებებს, ისევე, როგორც ცალკეული რესპონდენტების მენტალურ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება, არ იყოს კავშირში მათ გენდერულ იდენტობასთან.

ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სპეციფიკური ჰანდაცვის მომსახურება

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრანზიციისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას, როგორცაა, მაგალითად, ჰორმონული თერაპია და სხვადასხვა ტიპის ქირურგიული ჩარევები (განსაკუთრებით, მასტექტომია ან მკერდის გადიდება). მაშინ, როცა მკერდის გადიდების მსურველი ტრანსგენდერი ქალები პირდაპირ მიმართავენ პლასტიკურ ქირურგს, ტრანსგენდერი კაცებისთვის უცნობია, ვის შეიძლება, მიმართონ მასტექტომიისათვის და რა ჩვენებაა საჭირო იმისათვის, რომ ქირურგმა ეს ოპერაცია ჩაატაროს. კვლევაში მონაწილე არცერთი ტრანსგენდერი ქალი არ იტარებს ჰორმონულ თერაპიას და არც ინფორმაცია აქვთ მასთან დაკავშირებით, ტრანსი კაცები კი (სამი რესპონდენტი) უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ტრანზიციის ამ ასპექტს და შესაბამისი ინფორმაციის წყაროსაც უფრო ადვილად პოულობენ.

ტრანსგენდერი ადამიანებისათვის საჭირო ინფორმაციაში მსგავსი ცარიელი ადგილები გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ტრანზიციის თანამდევი ქირურგიული და სხვა ტიპის სამედიცინო ჩარევები ქართული კანონმდებლობით არ იკრძალება, მაგრამ არც რეგულირდება. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება საკითხთან დაკავშირებით ხშირად კონკრეტული ექიმებისა და კლინიკების დისკრეციაზე არის მინდობილი. აქედან გამომდინარე, სწორი ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით, უბრალოდ, ვერ იყრის თავს ერთად და ხშირად ტრანსგენდერთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვისაც კი ბუნდოვანია.

ქართულ პრაქტიკაში გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის გავლის მსურველი ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობა. ეს არის დასკვნა, რომელიც მინიმუმ ერთნლიანი დაკვირვების (ეს მოიცავს როგორც გასაუბრებას ფსიქოლოგებთან, ფსიქიატრებთან და სექსოლოგებთან, ასევე – სხვადასხვა ტიპის ჰორმონულ და ქრომოსომულ ანალიზებს და ექოსკოპიურ გამოკვლევებს) შემდეგ გაცემს ექიმი სექსოლოგი. ეს არის საბუთი, რომელსაც პლასტიკური ქირურგი მოითხოვს, სანამ გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის ჩატარებაზე დათანხმდება. მიუხედავად იმისა, რომ ცნობის აღებისათვის საჭირო ხარჯებს არ ფარავს დაზღვევა და ის ასევე საკმაოდ დროს მოითხოვს, ჩვენი რესპონდენტების დიდი ნაწილი თვლის, რომ მსგავსი ცნობა უნდა გაიცემოდეს. მაგალითად, კოტეს (41 წლის ტრანსგენდერი კაცი) აზრით:

„თუნდაც ეს საბუთი შენ თავში რწმენას გაძლევს რალაცას და ნაკლებად გიბიძგებს თვითმკვლელობისკენ ... ანუ FtM-ები [ტრანსგენდერი კაცები] მაგ მხრივ უფრო არამონწყვლადია...MtF-ები [ტრანსგენდერი ქალები] უფრო რთულად ... იმიტომ, რომ ვერ ივლის კაბით ქუჩაში და FtM-ს შეუძლია შარვლით სიარული იმიტომ, რომ ქალებიც დადიან შარვლით ...ნაკლებ თვალში საცემია საზოგადოებისთვის და ფსიქოლოგიური პრობლემებიც ნაკლები აქვთ. მე ვფიქრობ, რომ ეს ცნობა... საკუთარ თავში რწმენას მისცემდა ...“

მოცემული კვლევის მონაწილეებს შორის „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ ცნობა მხოლოდ სამს (მარი, 27 წლის, ნია, 29 წლის და ლიზა, 25 წლის ტრანსგენდერი ქალები) აქვს, მეოთხე კი (მაქსიმე, 35 წლის ტრანსგენდერი კაცი) შესაბამის პროცედურებს გადის იმისათვის, რომ დასკვნა აიღოს. მონაწილეების უმეტესობა თვლის, რომ ცნობა უნდა გაიცემოდეს იმისათვის, რომ ადამიანი დარწმუნდეს საკუთარ გენდერულ იდენტობაში და არ ინანოს ოპერაცია, რომელსაც ჩაიტარებს. ამავე დროს, რესპონდენტები თვლიან, რომ ადამიანს არ უნდა უწევდეს ხანგრძლივი და ძვირი პროცედურების გავლა საკუთარი გენდერული იდენტობის „დასამტკიცებლად“. სერგი (26 წლის ტრანსგენდერი კაცი) ასევე აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი დროის თვალსაზრისით არ არის მისთვის მოსა-

ხერხებელი, რადგან ის მომავალში აპირებს გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის გავლას:

„წელიწადნახევარს მე ვერავის ვერ დაველოდები უბრალოდ, აღარ მაქვს იმის ასაკი, რომ ვინმეს დაველოდო წელიწადნახევარი, 30-ს ვუკაკუნებ უკვე... ჯანმრთელობის მხრივ 30 და 35 იმის შემთხვევაში, რომ ამხელა ოპერაცია გაიარო და მერე რეაბილიტაცია მარტივად გადაიტანო, ნაკლებად შესაფერისი დრო და ასაკია“

რესპონდენტებიდან სამი ტრანსგენდერი კაცი, მაქსიმე, კოტე და სერგი, ჰორმონულ თერაპიას იტარებს. მიუხედავად იმისა, რომ ჰორმონული პრეპარატების მიღება ექიმის ზედამხედველობის გარეშე რეკომენდებული არ არის, მათ ენდოკრინოლოგისთვის არ მიუმართავენ. მიზეზად ისინი ასახელებენ იმას, რომ არ აქვთ სტაბილური შემოსავალი, ექიმის კონსულტაციები და შესაბამისი ანალიზები კი ძვირია. სამივე იღებს „ომნადრენ 250-ს“ (ტესტოსტერონი), რომლის შესახებაც სამივემ უცხოეთში მცხოვრები ტრანსგენდერი აქტივისტებისგან შეიტყო. ამავე წყაროდან მიიღეს მათ დოზირებასა და მიღების სიხშირესთან დაკავშირებული ინფორმაცია. ჰორმონული თერაპიის შედეგებს სამივე უაღრესად დადებითად აფასებს: მათ გაუჩნდათ თმის საფარი სახეზე, დაუბოხდათ ხმა და ცხიმოვან-კუნთოვანმა მასამაც სხვაგვარად დაიწყო გადანაწილება. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად ეხმარება სამივე რესპონდენტს, ინტეგრირდეს საზოგადოებაში და აღარ გამოიწვიოს „ექჭი“ საკუთარ გენდერთან მიმართებაში, რაც, თავის მხრივ, ნაკლებად მოწყვლადებს ხდის მათ მოულოდნელი ტრანსფობიური თავდასხმების მიმართ.

რაც შეეხება სხვა სამედიცინო ჩარევებს, მხოლოდ სერგის (26 წლის ტრანსგენდერი კაცი) აქვს გაკეთებული ორმხრივი მასტექტომია:

„ომის მერე, ესე იგი 2008-ში, გავიკეთე ოპერაცია ... თან დავამთხვიე, რომ ნაკლები კითხვა ყოფილიყო... ხელსაყრელი მომენტი ჩავიგდე ხელში და გავიკეთე ოპერაცია... ომის მერე ყველა ჯარისკაცმა გაიარა სამედიცინო შემოწმება ... ვინაიდან და რადგანაც, ჩემი თვალსაზრისი და ცხოვრების სტილი

იცოდა ყველამ, პრობლემას აშკარად არასოდეს არავინ არ მიქმნიდა ...“

კვლევის მონაწილე სხვა ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში ნაწილს არ აქვს საკმარისი ფინანსური სახსრები, ნაწილი ოჯახის წევრების ან/და პარტნიორების თანხმობას ელოდება, ნაწილს კი არ აქვს გადაწყვეტილი, სურს თუ არა რამე ტიპის ოპერაციის ჩატარება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კვლევის მომენტისათვის სამმა ტრანსგენდერმა ქალმა გაუსვა ხაზი იმას, რომ ფულს აგროვებდა მკერდის გადიდების ოპერაციის გასაკეთებლად.

აქვე მნიშვნელოვანია გამოვყოთ ლიზას (25 წლის ტრანსგენდერი ქალი) შემთხვევა, რომელმაც თავისი გენდერული იდენტობის ძიების პროცესში აღმოაჩინა საკუთარი ინტერსექსუალობაც. ლიზას „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ დასკვნა აღებული აქვს, ოღონდ – არა საქართველოში. დასკვნის აღებამდე პროცესს ის შემდეგნაირად აღგვიწერს:

„თავიდან [...] საოლქო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დამანვინეს. პირველ განყოფილებაში, მწვავე ფსიქიატრია სადაც იყო ... იმის საფუძველზე, რომ თვლიდნენ რომ გიჟი ვარ და საკუთარი თავის საკუთარ სქესს გარეთ პოზიციონირება არანორმალურია. ერთი თვე ვინეტი ამ დახურულ შენობაში, გისოსებიანი ფანჯრებით. პარალელურად დაიწყო გამოკვლევები, ფსიქოლოგიური, სექსოლოგიური, ფსიქიატრიული და ასე შემდეგ ... საერთო ანალიზი, მერე ჩაღრმავებები, მერე ნათესები მოკლედ მერე მანდედან გამომივლინდა ეს XX ქრომოსომა.“

მას შემდეგ, რაც ექიმებმა დაადგინეს, რომ ლიზას XX ქრომოსომა⁶ აქვს, ხოლო მეორადი სასქესო ნიშნები –კაცის, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ინტერსექსუალობის სპექტრზე იმყოფება, საავადმყოფოდან განერეს. ლიზას თქმით, მისი სხეულის ფორმები უფრო ფემინური იყო, რადგან მისი ორგანიზმი ტესტოსტერონს არ გამოიმუშავებდა საკმარისი დოზით. ამის გამო ექიმებმა მშობლებს ურჩიეს, მისი მასკულინიზაციის მიზნით ჰორმონული

6 ქალის ქრომოსომული ნაკრები

თერაპია დაეწყო. შედეგად მას სიმსივნე განუვითარდა, რომელიც ოპერაციისა და მკურნალობის შედეგად ლიზამ წარმატებით დაძლია.

ზემოთ აღწერილი შემთხვევის გამოყოფა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რადგან ინტერსექსუალობის საკითხი ქართულ კონტექსტში არ არის ნაკვლევია და ლიზა ინტერსექსუალობის სპექტრზე მყოფი ერთადერთი ადამიანია, რომელმაც თავისი სტატუსი გაგვიმჟღავნა და, სავარაუდოდ, იმ მცირე რაოდენობის ადამიანებს მიეკუთვნება, ვინც საერთოდ იცის საკუთარი ინტერსექსუალობის შესახებ.

კვლევამ აჩვენა, რომ მონაწილეების უმეტესობას ფინანსურად არ მიუწვდება ხელი ტრანზიციის თანამდევ სამედიცინო პროცედურებზე. ინფორმაცია ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სპეციფიკური ჯანდაცვის მომსახურებაზე არ არის თავმოყრილი რომელიმე კონკრეტულ საინფორმაციო რესურსში, რაც განპირობებულია იმით, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმა რჩებიან. მიუხედავად ამისა, მონაწილეები მაინც ახერხებენ, დაიწყონ ტრანზიცია და, შეძლებისდაგვარად, ჰარმონიაში მოიყვანონ საკუთარი გარეგნობა თავიანთ გენდერულ თვითაქმასთან. გარდა იმისა, რომ ეს მათ შინაგან კომფორტს ანიჭებთ, ასევე საშუალება ეძლევათ, მეტად ინტეგრირდნენ საზოგადოებაში და უფრო დაცულნი იყვნენ მოულოდნელი ტრანსფობიური თავდასხმებისგან.

სქესის სამართლებრივი აღიარება

საქართველოს კანონმდებლობით საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანების სქესის სამართლებრივი აღიარების საკითხი არ რეგულირდება. დღესდღეობით, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სავალდებულოა შეუქცევადი სტერილიზაციის, ჰორმონული მკურნალობისა და წინასწარი ქირურგიული პროცედურების გავლა, რათა პირმა ახალი პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღება შეძლოს. სქესის კვლავმინიჭების პროცედურის სრულად გავლის შემთხვევაში პირს გააჩნია უფლება, ოფიციალურ დოკუმენტებში შეცვალოს მონაცემები სქესის შესახებ.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მონაწილეების უმეტესობას არ აქვს ზუსტი ინფორმაცია სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის პროცედურებთან დაკავშირებით.

მონაწილეებიდან 5-ს აქვს ძველი პირადობის მონაწილეობა (რომელშიც არ არის დაფიქსირებული პიროვნების სქესი), 8-ს აქვს ID ბარათი, ხოლო ერთს არ აქვს პირადობის მონაწილეობა და აქვს მხოლოდ პასპორტი. რესპონდენტებიდან სახელი პირადობის მონაწილეობაში შეცვლილი აქვს მხოლოდ სამს.

სქესის შესახებ ჩანაწერის შეუსაბამობა ადამიანის გენდერულ თვითგამოხატვასთან გარდა პირადი დისკომფორტისა, ხშირად ხდება ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაციის საფუძველი შრომით ურთიერთობებში და იმ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, სადაც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენაა საჭირო.

დისკრიმინაცია საბუთების წარდგენის შემთხვევაში

არის შემთხვევები, როდესაც სწორედ იმ უწყებების თანამშრომლები ექცევიან დისკრიმინაციულად ტრანსგენდერ ადამიანებს, რომელთაც ევალებათ პირადობის დამადასტურებელ საბუთებთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. მაგალითად, 2014 წელს იუსტიციის სახლში მისულ მაქსიმეს (35 წლის ტრანსგენდერი კაცი), რომელსაც სურდა, პირადობის დამადასტურებელ მონაწილეობაში სახელი შეეცვალა (ფემინურიდან მასკულინურზე), არ მოემსახურა რეესტრის თანამშრომელი. მაქსიმეს თქმით, ოპერატორმა თავიდან ვერ გაიგო, რატომ სურდა მას სახელის შეცვლა, შემდეგ საბუთებში ჩაიხედა და ქალის სახელი რომ დაინახა, დაიბნა, სიტყვის უთქმელად გავიდა და კოლეგას სთხოვა, შეეცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა ამჟამად გართულებულია,⁷

⁷ აპლიკანტს სთხოვენ, წარადგინოს გენდერის კლავმინიჭების ოპერაციის დამამტკიცებელი საბუთები, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის არ არსებობს არავითარი ლეგალური საფუძველი.

